დანართი N1

დამტკიცებულია
დირექტორის მ/მ 2019 წლის 24 ივლისის
N02-09/106 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია და რადიო
აცხადებს კონკურსს
სატელევიზიო პროდუქტის შესაძენად

1. სატელევიზიო პროდუქტის სახე: სატელევიზიო სერიალი;
2. სატელევიზიო პროდუქტის ოდენობა: არანაკლებ სამი;
3. ერთი სატელევიზიო პროდუქტის მოცულობა: არაუმეტეს 25 სერიისა (თითოეული სერიის მოცულობა: 45 წთ- დან 90 წთ-მდე);
4. ჟანრი: მელოდრამა, დრამა ან/და ისტორიული;
5. წარმოება: ევროპული;
6. გახმოვანება: ქართული, არანაკლებ ორ ხმაში;
7. რეიტინგი: საშუალოზე მაღალი (IMOB – 6 და მეტი);
8. ღირებულება: სულ შესასყიდი სატელევიზიო პროდუქციის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 78 000 ლარს, ერთი სერიის ღირებულება კი - 1300 ლარს.
9. მოსაწოდებელი პროდუქტის ფორმატი:მყარ დისკზე, Full HD, 1920X1080i 25 fps Mpeg
10. განცხადებების მიღების პერიოდი: 25 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით;

10.1. განაცხადების მიიღება როგორც მატერიალურად (ბათუმი, მ. აბაშიძის ქუა N41) ასევე, ელექტრონულად (info@ajaratv.ge)

10.2. საკონტაქტო ტელ: 591 980 520

შენიშვნა N1: სატელევიზიო პროდუქტი არ უნდა იყოს ნაჩვენები ქართულ ტელესივრცეში, წარმოებული უნდა იყოს 2010-2019 წლებში, მოწოდებამდე დასრულებული უნდა იყოს პროდუქტის შექმნა (იგულისხმება დასრულებული სერიალები);

შენიშვნა N2: ერთ კონკურსანტს შეუძლია ერთი ან მეტი სხვადასხვა პროდუქტის მოწოდება, თითოეული სერიალის სერიების ჯამი არ შეიძლება აღემატებოდეს 25 სერიას. კონკურსში შეიძლება გამარჯვებულად გამოვლინდეს როგორც ერთი ან მეტი სხვადასხვა ორგანიზაცია, რომელიც დააკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

შენიშვნა N3: გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია პროდუქტის მოწოდებასთან ერთად წარმოადგინოს სატელევიზიო ჩვენების ლიცენზია;

წარმოსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

1. ორგანიზაციის დირექტორის (ან სხვა უფლებამოსილი პირის) განცხადება, თანდართული პროდუქტის ჩამონათვალით (კატალოგით);
2. მოსაწოდებელი პროდუქციაზე ჩვენების ნებართვის/სერტიფიკატის (ან/და უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის) ასლი;

3. ცნობა კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის საგადასახადო დავალიანების არ არსებობაზე;

კონკურსის ეტაპები:

(1) განცხადებების გადარჩევა;

(2) შეფასება (გამარჯვებულის გამოვლენა).

საკონკურსო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის დასრულება არა უგვიანეს 2019 წლის 15 აგვისტოსა;

შენიშვნა: წარმოდგენილი განცხადებების შეფასებას საკონკურსო კომისია ახორციელებს მაუწყებელის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის N02-03/14 ბრძანებით დამტკიცებული წესით.